



ხელშეკრულება საქართველოსთან

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, ბოლო რვა წლის განმავლობაში, საქართველოს ხალხთან ერთად დაამარცხა კორუფცია და კრიმინალი, შენდებდა ახალი საქართველო.

მაგრამ ბევრ ოჯახს ჯერ კიდევ უჭირს, ბევრია უმუშევარი. ქვეყნის წინსვლითა და წარმატებით მეტი სიკეთე უნდა მიიღოს თითოეულმა ოჯახმა. ამიტომ, ნაციონალური მოძრაობის მთავარი მიზანი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იქნება —

მეტი სარგებელი ხალხს!

მიზნის მისაღწევად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ამ ხელშეკრულებით დებს პირობას, რომ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში:

განახეობა უმუშევრობა

- ❖ აქტიურად ამუშავდება დასაქმების სამინისტრო;
- ❖ დარეგისტრირდება თითოეული უმუშევარი;
- ❖ სამუშაოს ყველა მაძიებელს ექნება სახელმწიფოს დაფინანსებით გადამზადების და ახალი კვალიფიკაციის მიღების საშუალება, მათ შორის, ახალ ტექნიკურ სასწავლებელსა და გადამზადების ცენტრებში;

ჯანდაცვის დაზღვევა ექნება ყველას

- ❖ სოციალურად დაუცველთათვის, 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, პენსიონერებისთვის, პედაგოგებისთვის, დევნილებისთვის, პოლიციელებისთვის და ჯარისკაცებისთვის იქნება შესაბამისი კატეგორიის დაზღვევა;
- ❖ ყველა სხვა კატეგორიის მოქალაქეთათვის იქნება დაზღვევის საბაზისო პაკეტი;
- ❖ ჯანდაცვა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება;

გაორმაგდება სოფლის მეურნეობა

- ❖ ყველა სოფელში ბოლომდე მოგვარდება წყლის, გაზის და გზების პრობლემა;
- ❖ გაიხსნება 500-ზე მეტი ახალი სოფლის მეურნეობის სანარმო;
- ❖ მოიწვევა დამატებით 90,000 ჰექტარი მიწა;
- ❖ სოფელი მიიღებს 2000 ერთეულ ახალ ტრაქტორს. მოხდება სოფლის მეურნეობის სრული მექანიზაცია;
- ❖ სასოფლო სამეურნეო მიწის 90% იქნება დამუშავებული;

ყველა ოჯახი მიიღებს 1000-ლარიან ვაუჩერს

- ❖ ოჯახი თავად გადწყვეტს ამ ვაუჩერით რა პრობლემა მოაგვაროს. ამ ვაუჩერით შესაძლებელია:
- ❖ დენის, გაზის, წყლის ან სხვა კომუნალური ხარჯების დაფარვა;
- ❖ მედიკამენტების და სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენა;
- ❖ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება, სანავისა და სასუქის ხარჯის გასტუმრება;

ამ ხელშეკრულებით ნაციონალური მოძრაობა აცხადებს - დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნით, ხელმისაწვდომი ჯანდაცვის უზრუნველყოფითა და სოფლის მეურნეობის განვითარებით მივალწევთ საერთო მიზანს -

მეტი სარგებელი ხალხს!

მ. სააკაშვილი

ი. გომიზიშვილი



ჯანდაცვა და დაზღვევა

ახალი სახელმწიფო დაზღვევა ჩვენი მოქალაქეებისათვის

2012 წლის 1-ლი სექტემბრიდან საქართველოში უკლებლივ ყველა პენსიონერი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, სტუდენტი და 0-დან 5 წლის ჩათვლით ასაკის ბავშვი იქნება დაზღვეული სახელმწიფოს მიერ, რაც ნიშნავს, რომ თითქმის ყოველი მეორე ადამიანი იქნება დაზღვეული და მათ შეეძლება, სრულად ისარგებლონ ახლად აშენებული თანამედროვე საავადმყოფოების ყველა მომსახურებით მთელი ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნული საავადმყოფოები თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება როგორც სახელმწიფო და კერძო დაზღვევის მქონე, ისე დაზღვევის არმქონე მოსახლეობისთვის.

საგარეო ურთიერთობები

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საგარეო პოლიტიკური ხედვა

საქართველო არის დასავლური ფასეულობებისა და ღირებულებების მატარებელი სუვერენული სახელმწიფო, რომელიც დაფუძნებულია ლიბერალურ პრინციპებზე. სწორედ ამიტომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ემყარება თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში აღიარებულ ფასეულობებს.

ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში სრული ინტეგრაცია ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. საქართველო იმკვიდრებს ღირსეულ ადგილს დასავლურ საზოგადოებაში დემოკრატიული ფასეულობებისა და სისტემის განვითარების გზით.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში. ნატოში საქართველოს გაწევრიანებას ემსახურება თანამშრომლობის ისეთი ფორმატები როგორცაა ნატო საქართველოს კომისია და ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, ერთობლივი სამხედრო წვრთნები და სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა.

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ევროკავშირთან დაახლოება. ამ კუთხით აღსანიშნავია აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში საქართველოს წარმატებული მონაწილეობა. ხაზგასასმელია მუშაობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე, ღრმა და ყოვლისმომცველ ვაჭრობაზე მოლაპარაკებების დაწყება, ევროკავშირთან ვიზების გამარტივების პროცესის დასრულება და დიალოგის დაწყება უვიზო რეჟიმის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორია, რომელთანაც თანამშრომლობა ეფუძნება საერთო ფასეულობებსა და ინტერესებს. ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ ეს თანამშრომლობა არის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია აშშ-ს მხარდაჭერა ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების საკითხებში, თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებასა და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებაში.

რეგიონული თანამშრომლობა - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მხარს უჭერს რეგიონის მასშტაბით მშვიდობასა და სტაბილურობას. საქართველოს ძალისხმევა მიმართულია მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის განმტკიცებაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობის განვითარებას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლური, პარტნიორული ურთიერთობების დამყარება. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ საქართველო აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ყველა რეგიონულ ფორმატში, რომელიც ეფუძნება თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპებს.

დასაქმება და ეკონომიკა

ბოლო წლებში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განახორციელა. აღნიშნული რეფორმები ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის ყველა დარგში სამეწარმეო აქტივობის ზრდისა და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ იყო მიმართული. ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი კვლავ მაღალია და მთავრობა ამ პრობლემის გადასაჭრელად აქტიურ მუშაობას აგრძელებს.

სოფლის მეურნეობა

საქართველოს მთავრობამ სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის აქტიური პროცესი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია: ექსპორტის ზრდა, წარმოების გაფართოება, ახალი ქარხნებისა თუ საწარმოების მშენებლობა. ამას მოსახლეობის დასაქმება უნდა მოჰყვეს.

განათლება

- სერტიფიცირებული მასწავლებლის საშუალო ხელფასი იქნება 600 ლარი, ხოლო საუკეთესო 25%-ის ხელფასი – 1000 ლარი.
- გაორმაგდება უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტთა რაოდენობა.
- აშენდება 150 ახალი სკოლა.
- მოხდება ყველა საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.
- გაიხსნება 3 ახალი სახელმწიფო პროფესიული კოლეჯი.
- გაგრძელდება და გაფართოვდება სტუდენტების საზაფხულო დასაქმების პროგრამა.
- გაიხსნება 300 მომავლის კლასი. ყველა წარჩინებულ სტუდენტს დაენიშნება სტიპენდია.
- ყველა პირველკლასელსა და ფრიადოსანს (საბაზო საფეხურის წარჩინებული კურსდამთავრებული) გადაეცემა პერსონალური კომპიუტერი.

ინფრასტრუქტურა

- მომდევნო 4 წლის მანძილზე დასრულდება წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია ყველა დიდ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში.
- ყველა დასახლებულ პუნქტში იქნება ინტერნეტი.

- გაგრძელდება ქალაქებისა და სოფლების რეაბილიტაციის პროექტები, რაც ქმნის ახალ შესაძლებლობებს დასაქმებისათვის და კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ჩვენს ქვეყანას, ტურიზმის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

ტერიტორიული მთლიანობა

დღეს, საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, რომლის გაცხადებულ მიზანს საქართველოს საკუთარ „გავლენის სფეროში“ დაბრუნება და ჩვენი ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის შეჩერება წარმოადგენს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რუსეთის ფედერაციამ, ასევე, განახორციელა ეთნიკური წმენდა, რის შედეგადაც ასეულ ათასობით საქართველოს მოქალაქე საკუთარი სახლებიდან განდევნილი აღმოჩნდა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მშვიდობიანი გზით, ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დაცვა და სუვერენიტეტის განმტკიცება სახელმწიფოს ხელთ არსებული ყველა სამართლიანი და მშვიდობიანი საშუალების გამოყენებით. ამ მიზნების მისაღწევად ნაციონალური მოძრაობა გაატარებს შემდეგ კურსს:

საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა

რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის მისაღწევად, ჩვენ გავაგრძელებთ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის კონსოლიდირებას. აუცილებელია, შენარჩუნებულ იქნეს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა და რუსეთის ფედერაციასთან გაგრძელდეს პრინციპული, შედეგზე ორიენტირებული დიალოგი საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაციის მიზნით. ამ კონტექსტში, აუცილებელია სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობა. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის სრული განხორციელება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ევროკავშირის შუამდგომლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულების თანახმად. აღნიშნული ხელს შეუწყობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობისკენ ნაბიჯების გადადგმას და, აგრეთვე, იძულებით გადაადგილებულ პირთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების დაჩქარებას. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გააგრძელებს მუშაობას ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს სრული ინტეგრაციის წარმატებით დასაგვირგვინებლად. ევროპის კავშირისა და ნატოში წევრობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ საქართველოს გრძელვადიან და უსაფრთხო განვითარებას, არამედ დემოკრატიული განვითარების შეუქცევადობასაც, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. საქართველოს სრული ინტეგრაცია დასავლურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში, ასევე, ხელს შეუწყობს კავკასიაში მშვიდობასა და სტაბილურობას.

ადამიანური და საზოგადოებებს შორის კონტაქტების გაღრმავება

ჩვენ გავაძლიერებთ სხვადასხვა სახის კონტაქტებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილ მოსახლეობასთან, რაც ხელს შეუწყობს ამ ადამიანების ქართული სახელწიფოს მიმართ ნდობის აღდგენასა და გაღრმავებას. ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენ გავაგრძელებთ ოკუპირებული

ტერიტორიების შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებას, რომელიც გულისხმობს ამ ტერიტორიების მოსახლეობის დაახლოებას ქვეყნის დანარჩენი რეგიონების მცხოვრებლებთან. ჩართულობის პოლიტიკის წარმატებისათვის, ასევე მნიშვნელოვანია ჰუმანიტარული პროექტების განხორციელება. ამგვარი პროექტები, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი სარგებლის მიღების უზრუნველყოფა, სამოქალაქო ცხოვრებაში და ქვეყნის მართვაში ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის მონაწილეობის შესაძლებლობების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ერთმანეთისაგან დაშორებული საზოგადოებების დაახლოების პროცესს.

სამშვიდობო პროცესის მხარდაჭერა და დევნილთა დაბრუნება

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიიჩნევს, რომ აუცილებელია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიუკერძოებელი და მრავალმხრივი საერთაშორისო სამშვიდობო მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება, რომელთა საშუალებით გამოირიცხება რუსეთის მხრიდან განმეორებითი აგრესიის შესაძლებლობა. ჩვენი მიზანია საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოებისა და სამოქალაქო უფლებების დაცვა მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად; იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება, მათი ქონებრივი უფლებების აღდგენა და დეოკუპირებული რეგიონების სწრაფი ეკონომიკური განვითარება. აუცილებელია შეიქმნას დევნილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების სათანადო პირობები და მომზადდეს ნიადაგი კონფლიქტის საბოლოო პოლიტიკური მოგვარებისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის პრინციპზე დაყრდნობით.



საქართველოს სამთავრობო პროგრამა -
„მეტი სარგებელი ხალხს“

2012-2016

ივლისი, 2012

საქართველოს მთავრობის მიზანია შექმნას ყველა წინაპირობა წარმატებული, მდიდარი და ერთიანი საქართველოსათვის, მუდმივად იზრუნოს იმაზე, რომ თითოეულ მოქალაქეს ქონდეს ღირსეული ცხოვრებისა და კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობა.

საქართველოს მთავრობამ, საზოგადოების მხარდაჭერით დაამარცხა კორუფციული სისტემა და კრიმინალური სამყარო, რაც სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მთავარი საშინაო დაბრკოლება იყო და საფრთხეს წარმოადგენდა თითოეული მოქალაქისათვის, თითოეული ოჯახისათვის.

საქართველომ გაატარა ძირეული დემოკრატიული რეფორმები და ამ მიმართულებით კურსი უცვლელი დარჩება.

ჩვენმა ქვეყანამ საგარეო პოლიტიკურ ამოცანად დაისახა ნატოში გაწევრიანება და ევროკავშირში ინტეგრაცია, სტრატეგიული პარტნიორობა დაამყარა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ევრო-ატლანტიკური ორიენტაცია საქართველოს მყარი არჩევანია.

სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით - გადასახადების შემცირებისა და გამარტივების, ბიუროკრატიული წნეხის შემცირების გზით, მიღწეული იქნა ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ეკონომიკის სწრაფი ზრდა.

მიუხედავად ქართული სახელმწიფოს ამ წარმატებებისა, ჩვენი ქვეყნის ძალიან ბევრი მოქალაქე ჯერ კიდევ დგას მძიმე სოციალური პრობლემების წინაშე.

დღეს დგება ეტაპი, როცა ქვეყნის წინსვლითა და წარმატებით სარგებელი უნდა ნახოს ყველა ოჯახმა. სწორედ ამიტომ, საქართველოს მთავრობის მთავარი პრიორიტეტი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იქნება – მეტი სარგებელი ხალხს.

უმთავრესი საკითხი საქართველოს მთავრობისთვის მოქალაქეთა დასაქმება და უმუშევრობის დაძლევაა.

უმუშევრობა ჩვენი საზოგადოების ნომერ პირველი პრობლემაა. ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ადამიანი ვერ ახერხებს სამსახურის პოვნას.

იმისათვის რომ ვებრძოლოთ ამ პრობლემას, სახელმწიფო და საზოგადოება უნდა ფლობდეს დეტალურ ინფორმაციას უმუშევრობის შესახებ. დღეს თითქმის არ არსებობს მონაცემები უმუშევრობის გეოგრაფიის შესახებ, მონაცემები იმ პირთა შესახებ, რომლებიც ეძებენ სამუშაოს, მათი

კვალიფიკაციის შესახებ. არ არსებობს სისტემატიზირებული მონაცემები, თუ რა კვალიფიკაციის კადრებზე არის მოთხოვნა დამსაქმებელთა მხრიდან. სწორედ ამ პრობლემის მოგვარება, გადაჭრა დაევალება **დასაქმების სახელმწიფო მინისტრს**, რომელიც აწარმოებს უმუშევართა და დამსაქმებელთა რეესტრს, მოგვცემს საშუალებას შემოღებული იყოს უმუშევრის და სამსახურის მაძიებლის სამართლებრივი სტატუსი. ამ ინსტიტუტის შემოღებით შეიქმნება ხიდი დამსაქმებელს და სამუშაოს მაძიებელს შორის, რაც სამსახურის მაძიებელს დაეხმარება სამსახურის პოვნაში, ხოლო დამსაქმებელს ხელს შეუწყობს სასურველი კადრების მოძიებასა და დასაქმების ახალი შესაძლებლობების განვითარებაში.

უმუშევრობის პრობლემის მოგვარების მიზნით, ასევე მნიშვნელოვანი იქნება პროფესიული გადამზადების სისტემის დახვეწა და ეფექტური გამოყენება. პროფესიული გადამზადების ცენტრებში შესაბამისი კურსის გავლა იქნება ყველასთვის ხელმისაწვდომი. ყველა მსურველი სახელმწიფოსგან მიიღებს პროფესიული გადამზადების ვაუჩერს, რაც **მთლიანად უფასოს გახდის განათლების პროცესს ამ მიმართულებით.**

ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წყარო კერძო ბიზნესის ზრდა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაა. ჩვენი ამოცანაა ვიზრუნოთ ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე და გავაგრძელოთ ინფრასტრუქტურული პროექტები. ეს საშუალებას მოგვცემს, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, შევექმნათ ახალი სამუშაო ადგილები:

- მოზიდული იქნება 4 მილიარდზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაც ნიშნავს დამატებით დაახლოებით **80 000 ახალ სამუშაო ადგილს;**
- ტურისტების რაოდენობა გაიზრდება 7 მილიონამდე, რაც ნიშნავს ტურიზმის სექტორში შექმნილ დაახლოებით **140 000 სამუშაო ადგილს;**
- დაიგება 5000 კილომეტრი გზა, რაც ნიშნავს სტაბილურად დასაქმებულ დაახლოებით **40 000 ადამიანს;**
- გაგრძელდება 15 ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რაც ჯამში შეადგენს 414 მეგავატ დადგმულ სიმძლავრეს, ჯამური წლიური გამომუშავებით 2.1 მილიარდ კვტ/სთ. 2012 წელიდან დაიწყება დამატებით 12 ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დაახლოებით ჯამური დადგმული სიმძლავრით 1677 მეგავატი, ჯამური წლიური გამომუშავებით 5.4 მილიარდ კვტ/სთ. აღნიშნული პროექტები შექმნის დამატებით დაახლოებით **13 000 სამუშაო ადგილს.**

აღნიშნული ღონისძიებების საერთო მიზანი იქნება, გადამწყვეტი დარტყმა მივაყენოთ უმუშევრობას და თითოეულ ადამიანს მივცეთ შესაძლებლობა ახალი ცოდნით, ახალი კვალიფიკაციით იპოვოს თავისი ადგილი უფრო ძლიერ საქართველოში.

ვიდრე გარდატეხა მოხდება უმუშევრობის პრობლემის დაძლევის საქმეში, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა და თანადგომა იგრძნოს, სახელმწიფოს წარმატებით მეტი სიკეთე მიიღოს ჩვენი ქვეყნის თითოეულმა ოჯახმა. ძლიერი ოჯახი - ძლიერი საქართველოა.

სახელმწიფო ზრდის პენსიას, ქმნის წინაპირობებს, რომ ადამიანები დასაქმდნენ, უფრო ხელმისაწვდომს ხდის ჯანდაცვას, მაგრამ არავინ იცის ყოველი კონკრეტული ოჯახის პრობლემები და საჭიროებები იმაზე უკეთ, ვიდრე თავად ამ ოჯახმა და ოჯახის წევრებმა.

სწორედ ამიტომ, თითოეულ ოჯახს გადაეცემა ოთხწლიანი **1000-ლარიანი ვაუჩერი**, რათა მათ თავად გადაწყვიტონ, რა პრობლემა მოაგვარონ ამით, დაფარონ დენის, გაზის, წყლის ან სხვა კომუნალურ ხარჯები, შეიძინონ სასკოლო სახელმძღვანელოები ბავშვებისათვის, შეიძინონ საჭირო მედიკამენტები, თუ მოიმარაგონ საწვავი და სასუქი სასოფლო სამუშაოებისათვის და დაიქირაონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

მთავრობის საპროგრამო მიზნების მისაღწევად, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, საბიუჯეტო თანხები დაიხარჯება შემდეგი მიმართულებით:

- პენსიების დაფინანსების მიზნით – 6 მილიარდი ლარი;
- ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით – 3 მილიარდი ლარი;
- სოციალური დახმარებებისთვის – 3 მილიარდი ლარი;
- სოფლის მხარდაჭერის მიზნით – 4 მილიარდი ლარი;
- განათლების დაფინანსების მიზნით – 4 მილიარდი ლარი.

საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაიხარჯება 6 მილიარდი ლარი, რაც ნიშნავს, იმას, რომ 2013 წლიდან საპენსიო პაკეტი 100 დოლარის ექვივალენტი გახდება და გადააჭარბებს საარსებო მინიმუმს. რაც მთავარია, ჯანმრთელობის დაზღვევა იქნება საპენსიო პაკეტის განუყოფელი ნაწილი და არც ერთ პენსიონერს არ ექნება შიში, მიაკითხოს ექიმს, ჩაიტაროს გამოკვლევები, ისარგებლოს სამედიცინო მომსახურებით.

ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაიხარჯება 3 მილიარდი ლარი, რაც ნიშნავს იმას, რომ ჯანმრთელობის დაზღვევა ექნება ყველას!

2006 წელს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი ჰქონდა საქართველოს მხოლოდ 40,000 მოქალაქეს. წელს 1 სექტემბრიდან კი უკვე 1,9 მლნ ადამიანი იქნება სახელმწიფოს მიერ დაზღვეული. ნახევარ მილიონამდე ადამიანს აქვს კერძო დაზღვევის პოლისი.

სულ, ამჟამად, 2,4 მლნ მოქალაქეს აქვს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი, მაგრამ ჩვენი მიზანია, რომ ამის შესაძლებლობა ქონდეს ყოველ ოჯახს.

სოციალურად დაუცველები გააგრძელებენ მათთვის დღეს უკვე მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობას, ყველა ბავშვს დაბადებიდან 5 წლის ჩათვლით ექნება საბავშვო დაზღვევა ისევე, როგორც ყველა მასწავლებელს - მასწავლებლის, ყველა დევნილს - დევნილის, ყველა ჯარისკაცსა და პოლიციელს - ჯარისკაცისა და პოლიციელის საჭიროებებზე მორგებული ჯანმრთელობის დაზღვევა. ყველა სხვა კატეგორიის მოქალაქეს, რომელიც ზემოჩამოთვლილ არც ერთ ჯგუფს არ მიეკუთვნება, ექნება ჯანმრთელობის დაზღვევის საბაზისო პაკეტი. ეს პაკეტი გათვლილი იქნება იმაზე, რომ უბედურმა შემთხვევამ ანდა მოულოდნელმა მიმღე ავადმყოფობამ ოჯახის გადატაკება არ გამოიწვიოს.

სოციალური დახმარების მიზნით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაიხარჯება 3 მილიარდი ლარი. ჩვენი ამოცანაა, შევქმნათ სამუშაო ადგილები და ისინი, ვინც უმუშევრობის გამო უსახსროდაა დარჩენილი და ყოველთვიურ სახელმწიფო შემწეობას ელის, დასაქმდნენ და ყოველთვიურად საკუთარი შრომის საფასურ ხელფასს დაელოდონ. მაგრამ ვიდრე ყოველ ოჯახს საკუთარი შემოსავალი გაუჩნდება, სახელმწიფო სოციალური დახმარება გარანტირებულად მიეცემა მათ, ვისაც ეს სჭირდება. დღეს სახელმწიფო ნახევარ მილიონამდე ადამიანს აძლევს სოციალურ დახმარებას. 2013 წლიდან მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ეს დახმარება კიდევ უფრო მასშტაბური გახდება და მიმართული იქნება ყოველი სოციალურად დაუცველი ადამიანის საჭიროებაზე.

გააგრძელებს დევნილთა დახმარების პროგრამები. გასული წლების განმავლობაში ბათუმში, ფოთში, წყალტუბოში აშენდა 64 ახალი კორპუსი, რომელშიც დღეს უკვე ცხოვრობს 1800-ზე მეტი ოჯახი, გარემონტდა საცხოვრებელი ფართები 15 000-მდე დევნილი ოჯახისათვის. დღეს ყველა ეს ბინა მათი საკუთრებაა. ეს პროცესი კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ამ მიზნით აშენდება ახალი კორპუსები და გარემონტდება შენობები, რომლებშიც ბინები საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემათ დევნილებს. ეს ამოცანა ხორციელდება იმ დათქმით, რომ მათი, როგორც საქართველოს

მოქალაქეების უფლება – დაბრუნდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ისევე როგორც მათი საკუთრების უფლებები, შეუქცევადია.

სოფლის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაიხარჯება 4 მილიარდი ლარი, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო შექმნის მნიშვნელოვან წინაპირობას ქართული სოფლის გაძლიერებისათვის. ყველა სოფელს ექნება სათანადო წყალმომარაგება, ყველა სოფელში დასრულდება გაზიფიკაციის პროგრამა, გაკეთდება ყველა სოფლამდე მისასვლელი გზა. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დამატებით შეძენილი იქნება 2000 ტრაქტორი, კომბაინი, აგრეგატი. შეიქმნება 500-ზე მეტი ახალი სოფლის მეურნეობის საწარმო, განხორციელდება დამატებით 90 000 ჰექტარის ირიგაცია, გაკეთდება დრენაჟის სისტემა 35 000 ჰექტარზე, რაც თავის მხრივ ნიშნავს უფრო უკეთეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას უფრო მეტი მოსავლის მისაღებად. საბოლოო ჯამში კი ყველა ამ ნაბიჯის შედეგი იქნება - ქართული სასოფლო პროდუქციის გაორმაგება, რაც გააძლიერებს ქართულ სოფელს, გააძლიერებს ქართულ ეკონომიკას და გააძლიერებს ქართულ სახელმწიფოს.

განათლების სისტემის მხარდაჭერის მიზნით მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაიხარჯება 4 მილიარდი ლარი. რაც ნიშნავს:

- მოხდება ყველა საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;
- აშენდება 150 ახალი სკოლა;
- გაიხსნება ბათუმის ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი;
- გაიხსნება 3 ახალი სახელმწიფო პროფესიული კოლეჯი;
- გაიხსნება 300 მომავლის კლასი;
- დაზღვეული იქნება ყველა მოსწავლე;
- დაზღვეული იქნება ყველა სტუდენტი;
- გაგრძელდება და გაფართოვდება სტუდენტების საზაფხულო დასაქმების პროგრამა;
- ყველა წარჩინებულ სტუდენტს დაენიშნება სტიპენდია;
- გაგრძელდება მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ გაცემა;
- გაორმაგდება უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტთა რაოდენობა;
- ყველა პირველკლასელს და ფრიადოსანს (საბაზო საფეხურის წარჩინებული კურსდამთავრებული) გადაეცემა პერსონალური კომპიუტერი;
- სერთიფიცირებული მასწავლებლის საშუალო ხელფასი იქნება 600 ლარი, ხოლო საუკეთესო 25% ხელფასი - 1000 ლარი;

- მოხდება წარმატებული სტუდენტების სწავლისა და ცხოვრების დაფინანსება მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში.

განათლების სფეროში განხორციელებული ამ ღონისძიებების მთავარი მიზანი იქნება უფრო ხარისხიანი განათლება, უფრო უკეთესი სასკოლო ინფრასტრუქტურა და უფრო დაფასებული პედაგოგები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სახელმწიფო გააგრძელებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მოდევნო ოთხი წლის განმავლობაში დასრულდება წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია ყველა დიდ ქალაქში და რაიონულ ცენტრში, ყველა დასახლებულ პუნქტში იქნება ინტერნეტი, გაგრძელდება ქალაქებისა და სოფლების რეაბილიტაციის პროექტები, რაც ერთის მხრივ ქმნის ახალ შესაძლებლობებს ქალაქად და სოფლად დასაქმებისათვის, მეორეს მხრივ, კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ჩვენს ქვეყანას ტურიზმის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ქვეყნის განვითარება და წარმატება უნდა აისახოს თითოეულ ოჯახზე, უნდა გაუმჯობესდეს ჩვენი მოქალაქეების ცხოვრების დონე, რასაც უზრუნველყოფს - მეტი დასაქმება, უკეთესი სოციალური დაცვის სისტემა, ჯანდაცვაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობა და ძლიერი ქართული სოფელი.